ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 5

ქ. ონი 18. 05. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მამუკა ყავლაშვილი.

სხდომას კომისიის 12 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, ნინო გობეჯიშვილი, ბესიკი მაისურაძე, როსტომ ლობჯანიძე, ბიძინა ყიფიანი, ნონა მაისურაძე, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: რეზო საბანაძე, მერაბ ბიჭაშვილი, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არსებული ციფრებით სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

2.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არსებული ციფრებით სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არსებული ციფრებით სახელდების შესახებ.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობის შესახებ.

კომისიის წევრებმა ისაუბრეს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების ხარისხის, სამუშაოს მიწოდების ვადებისა და ზედამხედველობის კუთხით არსებულ პრობლემებზე.

რ. ლობჯანიძემ ისაუბრა სოფ. ღებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

ე. მაისურაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს უმრავლესობიდან ყოველთვის სწორი და მართებული შენიშვნები მიდის მერიის მიმართულებით, თუმცა მერიის მხრიდან ურთიერთთანამშრომლობის პოზიცია არ ჩანს.

ალ. ხვედელიანმა აღნიშნა, რომ მეტი ურთიერთთანამშრომლობა, პასუხისმგებლობა და ძალისხმევაა საჭირო უკეთესი და მოსახლეობისათვის პრიორიტეტული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ნ. მაისურაძემ ისაუბრა სოფ. ჭიორაში სასმელი წყლის პრობლემაზე და მისი მოგვარების აუცილებლობაზე .

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2023 წ. 18 მაისს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არსებული ციფრებით სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

2.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ კომისიის სხდომაზე იმსჯელა წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით. კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე